ოქმი:**ო63. 6324247001**
თარიღი:**03/09/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი N11

სამტრედია 27 აგვისტო, 2024 წელი**.**

მიმდინარე წლის 27 აგვისტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ტარიელ ცომაიას თავმჯდომარეობით ჩატარდა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: ტარიელ ცომაია, დავით ჯანელიძე, გივი ჯულაყიძე, გიორგი გაგუა, ზაზა ადეიშვილი, პაატა კოხრეიძე, ქეთევან კუტალაძე, ჯონი ახობაძე.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ სამტრედიაში, კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე 62120.00 კვ.მ და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში, მე-2 ქუჩა, I-ლი შესახვევი, №8-ში მდებარე 2348.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

   /მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (8) ხმით, კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი (8) ხმით იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ქალაქ სამტრედიაში, კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე 62120.00 კვ.მ და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში, მე-2 ქუჩა, I-ლი შესახვევი, №8-ში მდებარე 2348.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზაციო

ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.დ“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე–2 მუხლის ,,ი“–ქვეპუნქტისა და 34–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განიხილა ქალაქ სამტრედიაში, კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე 62120.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.487) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში, მე-2 ქუჩა, I-ლი შესახვევი, №8-ში მდებარე 2348.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.44.002) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის საკითხი და გადაწყვიტა:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე 62120.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.487) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

1.2. ქალაქ სამტრედიაში, კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე 62120.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.487) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.3. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე 62120.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.487) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 1000000 (ერთი მილიონი) ლარი.

1.4. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე 62120.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.487) ბიჯი განისაზღვროს 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

1.5. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე 62120.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.487) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 300000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობით.

1.6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2.1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში, მე-2 ქუჩა, I-ლი შესახვევი, №8-ში მდებარე 2348.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.44.002) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

2.2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში, მე-2 ქუჩა, I-ლი შესახვევი, №8-ში მდებარე 2348.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.44.002) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2.3. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში,

მე-2 ქუჩა, I-ლი შესახვევი, №8-ში მდებარე 2348.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.44.002) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 36000 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარი.

2.4. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში, მე-2 ქუჩა, I-ლი შესახვევი, №8-ში მდებარე 2348.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.44.002) ბიჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

2.5. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში, მე-2 ქუჩა, I-ლი შესახვევი, №8-ში მდებარე 2348.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.44.002) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

2.6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საგარანტიო თანხა, ნაცვლად 300 000ლარისა, განისაზღვროს 150 000 ლარით.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი, შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ტარიელ ცომაია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია-
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი